თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 13 ოქტომბრის სხდომის ოქმი #12

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი 23, სტუდენტები 7, სულ 30 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იხ. დანართი)

   /უფროსი სპეციალისტი გვანცა ხასია/
2. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

3. მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ მოქმედი წესის შესაბამისად, ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარე არ იმყოფება, ამიტომ საჭიროა თავმჯომარის არჩევა ერთჯერადად და თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურა. დასახელებულ იქნა იქნა პროფესორ იური ანანიაშვილის კანდიდატურა, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა იური ანანიაშვილმა საბჭოს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იყო დამტკიცებული.

პროფ. ნ. თოდუა - თუ შეიძლება დღის წესრიგთან დაკავშირებით, რომ მოგახსენოთ. ფაკულტეტის დებულება ითვალისწინებს, რომ დღის წესრიგი დაგზავნილი უნდა ყოფილიყო სამი დღით ადრე, ჩვენ შემთხვევაში ნახევარი დღეც არ გამოდის. რატომ ვარღვევთ ჩვენს მიერ დამტკიცებულ დებულებას, რომელიც დაამტკიცა როგორც აკადემიურმა საბჭომ, ასევე წარმომადგენლობითმა საბჭომ.

პროფ. ი. ანანიაშვილი - ბატონო ნუგზარ გამონაკლისებიც ხომ არსებობს?

პროფ. ნ. თოდუა - რატომაა გამონაკლისი, რა საგანგებო სიტუაციაა ასეთი რა ხდება?

ასოც. პროფ. ი. ჭილაძე - ომში არ მივდივართ და რატოა გამონაკლისი?

პროფ. ი. ანანიაშვილი - ვთხოვოთ იურისტს მოგვახსენოს რა აუცილებლობითაა გამოწვეული დღევანდელი საბჭოს მოწვევა.

გვანცა ხასია - მოგესალმებით, მართლაც და გადაუდებელი სიტუაცია წარმოიშვა და ამან გამოიწვია დღეს საბჭოს სხდომის ჩატარება. გარდა იმისა, რომ მეილებზე დაგეგზავნათ დღის წესრიგი, დამატებით მოხდა თითოეული საბჭოს წევრის გაფრთხილება დღევანდელ სხდომასთან დაკავშირებით. თუ რატომაა გადაუდებელი აუცილებლობაა, პირველი საკითხი რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის დებულაბაში ცვლილებას აუცილებელია დამტკიცდეს დღეს, ვინაიდან მომდევნო კვირაში არის დანიშნული აკადემიური საბჭოს არჩევნები, შესაბამისად, ფაკულტეტიდან უნდა წავიდეს დაზუსტებული სიები ვინ იღებს მონაწილეობას არჩევნებში. ამიტომ, ამომრჩეველთა სიების ლეგიტიმურობაში რომ ეჭვი არ შეპარულიყო აუცილებელი გახდა საბჭოს მოწვევა და დებულებაში ცვლილებების შეტანა.

პროფ. გ. ღაღანიძე - გასაგებია ეს ყველაფერი, მაგრამ აკადემიური საბჭოს არჩევნები რომ უნდა ყოფილიყო ოქტომბერში 20-ში თუ 21-ში არ ააქვს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს ვიცოდით ოთხი წლის წინ და რატომ მივიყვანეთ საქმე 13 ოქტომბრამდე.

გვანცა ხასია - მოგახსენებთ ბატონო გია, აკადემიურმა საბჭომ მიიღო საბჭოს წევრების არჩევის წესი, რომელიც სენატმა დაამტკიცა. ამ წესში მოხდა ტექნიკური შეცდომა, რომელიც უნდა გასწორდეს როგორც გვითხრეს იურიდიულ დეპარტამენტში.

პროფ. ნ. თოდუა - როგორ უნდა გასწორდეს, არ გასწორებულა

გვანცა ხასია - ეს ტექნიკური შეცდომაა და მარტივი გასასწორებელია

პროფ. ნ. თოდუა - კიდევ შეცდომაში შეგყავს აუდიტორია

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - ჩვენ რაც ვნახეთ და ამოვბეჭდეთ არაა შეცვლილი

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი - მე როდესაც მივიღე შეტყობინება საბჭოს სხდომის დანიშვნასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან ამოვბეჭდე აკადემიური საბჭოს მიერ 30 სექტემბერს დამტკიცებული არჩევის წესი, დღესაც იგივე დევს და არ შეცვლილა, ხომ არ შეიძლება, რომ ამასთან დაკავშირებით რა ცვლილება შეიძლება მოხდეს და რა უნდა გასწორდეს ფაკულტეტმა წინასწარ მიიღოს ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. კარგით რა მართლა, უხერხულობა არ არის?

გვანცა ხასია - ცოტა ხნის უკან მე მქონდა საუბარი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და კიდევ ერთხელ დამიდასტურეს რომ ამ წესში შევიდა ცვლილება

პროფ. ე. ხარაბაძე - თქვენ ვის ესაუბრეთ ეს არაა მნიშვნელოვანი, ჩვენ გჭირდება რეალურად დოკუმენტი

გვანცა ხასია - რატომ გაიპარა ტექნიკური შეცდომა მაგის ახსნა შმიძლია

პროფ. ნ. თოდუა - თქვენ რა შუაში ხართ? თქვენ არ გეხებათ ეს?

პროფ. ი. ანანიაშვილი - ბატონო აკაკი თუ შეიძლება მობრძანდით

დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე - თუ ჩვენ პატივსვცემთ ერთმანეთს და კოლეგიალურად განვეწყოთ ერთმანეთის მიმართ, ეს არცერთ ჩვენთაგანს არ გვესწავლება. საუბარია იმაზე, რომ ის წესი რომელიც ქალბატონ ნინოს ამობეჭდილი აქვს ეხლა არ არის დანართის სახით მიბმული

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი - ერთი საათის უკან ამოვბეჭდე, აბა საიდან ამოვბეჭდავდი, თუ არ იდო ვებ-გვერდზე?

დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე - ეხლა რომ ვნახულობ ეს დანართი არ არის მიბმული დანართი. ჩვენ ვიცოდით და გვქონდა ინფორმაცია, რომ ამ წესში იყო გაპარული ტექნიკური შეცდომა და უნდა შეცვლილიყო, შაბათ-კვირას ცვლილება ვერ მოხდებოდა და შეიცვლება დღეს. ამიტომ ვმუშაობთ ფორსირებულ რეჟიმში და თუ გვინდა არ შეუწყოთ ხელი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის აკადემიური საბჭოს არჩევნებს და გვინდა, რომ გავრთულოთ ხელოვნურად და არ გავიგოთ ის საკითხები, რომელიც ტექნიკური შეიძლება იყოს, კი ბატონო. ეხლა მე ვესაუბრე ქალბატონ მზექალას,

რომელმაც მითხრა, რომ გადაცემული აქვს ცვლილებები IT სამსახურს და წუთი-წუთზე დაიდება ვებ-გვერდზე შესწორებული ვერსია.

პროფ. ნ. თოდუა - მაგ შეცდომის გასწორება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ და მერე მოდის წარმომადგელობით საბჭოში და შეიცვალოს ამ გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ შეცდომის გასწორება არავის არ ხელეწიფება.

პროფ. გ. ღაღანიძე - თსუ-ს წესდება განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს არჩევის წესს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობს ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტები, როგორც ვიცი წესდებაში არ შესულა ცვლილება

გვანცა ხასია - ეს მუხლი უმაღლესი განათლების შესახებ კანონიდან არის გადმოტანილი

პროფ. გ. ღაღანიძე - რა მნიშვნელობა აქვს საიდანაა გადმოტანილი, ეს წესი არ შეცვლილა და რაღაც სხვა ხდება, რომ ის რვა სტუდენტი უნდა გავხადოთ ათი.

გვანცა ხასია - ის რეგულაცია, რომელიც სენატმა დაამტკიცა ითვალიწინებს განსხვავებულ წესს, რომელშიც ტექნიკური შეცდომაა გაპარული და სულ ორი სიტყვაა გამოტოვებული

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - უკაცრავად გვანცა დიდი ბოდიში, მაგრამ აქ ალბად ცალკეულ ადამიანს და ცალკეულ სტრუქტურებს აქვთ პასუხისმგებლობა, როგორ, ტექნიკური შეცდომით შევიდა აკადემიურ საბჭოზე და ასევე ტექნიკური შეცდომით გადავიდა წარმომადგენლობით საბჭოზე? ყველა წევრი არაეფექტიანად მუშაობს აკადემიურ საბჭოზეც და წარმომადგენლობით საბჭოზეც, არ იკითხება დოკუმენტი ისე ხდება გადაწყვეტილების მიღება და ჩვენ ეხლა გვიწევს ამაზე მსჯელობა, ეს იყო ტექნიკური შეცდომა თუ არა

დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე - და ეს ტექნიკური შეცდომა უნდა გასწორდეს ეხლა

პროფ. ი. ანანიაშვილი - ბატონებო რადგან შევიკრიბეთ გადაწყვეტილებაც მივიღოთ

გვანცა ხასია - ეხლა მოქმედი ფაკულტეტის საბჭოა ლეგიტიმური და უნდა დაამტკიცოს ეს ცვლილებები

დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე - ქალბატონმა მზექალამ გასწორებული ვარიანტი გადმომიგზავნა პირად მეილზე, სანამ აიტვირთება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია.

პროფ. ნ. თოდუა - ჩემი ამდენი ხნის წარმომადგენლობით საბჭოს წევრად პერიოდში არასოდეს არ ყოფილა, რომ ერთი სიტყვაც რომ შეცვლილიყო აკადემიური საბჭოს დადგენილებაში, უკან უბრუნდება აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭო მას

თავიდან ამტკიცებს, თუნდაც ერთი სიტყვის ცვლილება მომხდარიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა გადაწყვეტილება ბათილია. დღეს როგორ შეიძლება რომ ვიღაცამ, თუნდაც იურიდიულმა დეპარტამენტმა რაიმე ცვლილება შეიტანოს თვითნებურად, ესაა პროცედურული დარღვევა და საკმაოდ მტკივნეულია როცა პროცედურა ირღვევა

დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე - გასაგებია თქვენი არგუმენტები, მაგრამ მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ტარდება აკადემიური საბჭოს არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და თვითმართველობის სტუდენტებმა, რომელიც საბჭოს წევრები არიან. ამიტომ უნდა იქნეს ცვლილება დებულებაში შეტანილი.

პროფ. თ. შენგელია - მე როგორც გავიგე, დღეს არსებული დებულება წინააღმდეგობაში მოდის უნივერსიტეტის წესდებაში, აქ რა პრობლემაა ვერ გავიგე. დღეს მოცემულობაა, რომ აკადემიური საჭოს არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს, ამიტომ ლეგიტიმაცია ამ არჩევნებისა რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს, უნდა შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოში და დაემატოს ორი სტუდენტი. აქ სამართლებრივი თვალსაზრისით რა წინააღმდეგობაა ვერ გავიგე? მოითხოვს თუ არა ეს ცვლილება იმას, რომ დამატებით აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცოს ეს ცვლილება?

გვანცა ხასია - აკადემიური საბჭო ამ ცვლილებას არ ამტკიცებს, ამ ცვლილებას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. იმის გამო, რომ სტუდენტური თვითმართველობა არ არის ფაკულტეტის ნაწილი და ის არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, მათ შეუძლიათ ჩაატარონ არჩევნები და წარმოადგინონ ათი სტუდენტი, რომლებიც იქნებიან საბჭოს წევრები, რომლებიც აკადემიური საბჭოს არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

პროფ. ი. ანანიაშვილი - აქ გამოსავალია ერთია, რომ შესაბამისობაში მოვიყვანოთ და შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში, რომელიც გამოიწვევს კვოტების ცვლილებას კათერებზეც.

პროფ. ე. ხარაბაძე - მუდმივად ასეთი ქაოსი იქნება, სანამ ასეთი გაურკვევლობა იქნება. თქვენ წარმოგიდგენიათ შემდეგი საბჭოს სხდომა როგორი ხმაურიანი იქნება, როცა იქ გაიგებს ხალხი, რომ რადგან სტუდენტთა რაოდენობა შეიცვალ და დებულებაში შევიდა ცვლილება, ეხლა სავალდებულოა, რომ საბჭოს წევრების სია შემცირდეს. პირდაპირ

ვთქვათ, რას ვაკეთებთ, შესწორება რა მიმართულებით შედის, როგორ გადაწყვეტილებას ვიღებთ?

გვანცა ხასია - გააცნო ცვლილებები, რომელიც დაგეგმილია ფაკულტეტის საბჭოს დებულებაში. დეკანი როცა დაბრუნდება საქართველოში, გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართვლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც კათედრებზე ჩატარდება არჩევნები და ამის შემდეგ გაირკვევა რომელი წარმომადგენლები იქნებიან კათედრებიდან, შემდეგ ჩატარდება განახლებული საბჭოს სხდომა, რომლის შემადგენლობაში იქნება 39 წევრი.

პროფ. თ. შენგელია - დღეს არსებული ფაკულტეტის საბჭოს წევრების უფლება-მოსილება რა ვადით განისაზღვრა?

პროფ. ი. ანანიაშვილი - დღეს მიღებული გადაწყვეტილება იმოქმედებს სტუდენტების რაოდენობაზე, რომ რვის ნაცვლად იყოს ათი სტუდენტი. შემდეგ უკვე კათედრებზე ჩატარდება არჩევნები და თვითეული კათედრა გადაწყვეტს ვინ ყავდეს ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში.

პროფ. გ. ღაღანიძე - იმ ორი სტუდენტის უფლება-მოსილების ცნობა არ უნდა მოხდეს საბჭოზე?

გვანცა ხასია - არა რადგან დებულება მსგავს არაფერს არ ითვალისწინებს.

პროფ. გ. ღაღანიძე - ანუ როდესაც აკადემიურ პერსონალს ვირჩევთ, იმის უფლება-მოსილებას ვცნობთ და სტუდენტებისას. არა?

გვანცა ხასია - ამასთან დაკავშირებით ფაკულტეტის დებულებაში თქვენ ვერ ნახავთ ჩანაწერს, რომლის შესაბამისადაც საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ უნდა იცნოს უფლება-მოსილება, ეს არის პრაქტიკა, რომელიც წლების განმავლობაში დამკვიდდრდა და თქვენ ყოველჯერზე ახორციელებდით. ასეთი რაღაცა არც კანონში, არც წესდებაში და არც დებულებაში არ არსებობს.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - თვითნებურად ვახორციელებდით?

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - იმ კათედრებზე, სადაც ორი წევრია საბჭოში, არჩევნების ჩატარება ევალებათ?

გვანცა ხასია - სადაც სამი წევრია იქ ჩატარდება არჩევნები

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - რატომ?

გვანცა ხასია - რეალურად მათ უკვე ყავთ ორი წარმომადგენელი საბჭოში, რეალურად მათაც შეუძლიათ, უფრო სწორედ, ისინიც ჩაატარებენ არჩევნებს.

პროფ. გ. ღაღანიძე - ეს კანონში წერია, რომ ასეა?

დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე - არა ეს კანონში არ წერია

პროფ. გ. ღაღანიძე - კარგით რაა

პროფ. ი. ანანიაშვილი - სავარაუდოდ შეიძლება იმ ორი წევრის არსებობაც დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, ეს ბუნებრივია. სათითაოდ პუნქტების მიხედვით ვუყაროთ კენჭი თუ ერთად?

ასოც. პროფ. ი. ჭილაძე - რატომ ვკარგავთ ერთ ადგილს და 40-ის ნაცვლად გვეყოლება 39 წევრი?

პროფ. ქ. მარშავა - წესდებაში წერია არაუმეტეს 40 წევრისა, ამიტომ ფაკულტეტის პრეროგატივაა რამდენი წევრი იქნება ფაკულტეტის საბჭოში, დიდი და პატარა კათედრა არ არსებობს. ფუნქცია ყველას ერთნაირი აქვს. აქ შეცდომაა ის, რომ, როცა მოხდა ცვლილება, ფაკულტეტი როცა აყალიბებდა საბჭოს, მაშინ უნდა ყოფილიყო ეს გათვალისწინებული. ჩვენზე დიდი ფაკულტეტი არ არსებობს სტუდენტთა რაოდენობის მხრივ, მაგრამ ყველგან ერთნაირი კვოტა გვაქვს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოშიც. ამიტომ ეს დაგვიანებულია და როგორმე უნდა გამოსწორდეს ეს მდგომარეობა. რომ არ ჩაიშალოს აკადემიური საბჭოს არჩევნები ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს

პროფ. ს. გელაშვილი - წარმოდგენილ ცვლილებებში მეოთხე მუხლი თუ პუნქტი წერია - „იმ შემთხვევაში, როდესაც სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული წარმოდგენილია ერთი აკადემიური პერსონალით, მაშინ ეს აკადემიური პერსონალი ავტომატურად ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი და წარმომადგენლობითი ქვოტა იცვლება ერთით“ - ეს ამოსაღებია, რადგან ფაკულტეტის დებულებაში გვიწერია, რომ ახალი სტრუქტურული ერთეულის შესაქმნელად მინიმუმ ოთხი აკადემიური პერსონალია საჭირო, ამიტომ ეს ამოსაღებია რადგან წინააღმდეგობაში მოდის ფაკულტეტის დებულებასთან

გვანცა ხასია - ეს შეგვიძლია ამოვიღოთ, ეს ძველ დებულებაში ეწერა და ფუნქციური დატვირთვით გადმოვიტანე.

პროფ. ი. ანანიაშვილი - ვუყაროთ კენჭი აღნიშნულ ცვლილებებს ბატონ სიმონის წინადადების გათვალისწინებით

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;

წინააღმდეგი – 4.

დაადგინეს: შევიდეს აღნიშნული ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში (იხ. დანართი)

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;

წინააღმდეგი – 0.

დადგინდეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2013-2014 წლის კურსდამთავრებულებს

1. თათია ყურაშვილი
2. თორნიკე გვენცაძე

მოისმინეს: ტურიზმის საერთაშორისო სკოლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;

წინააღმდეგი – 0.

დადგინდეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2013-2014 წლის კურსდამთავრებულს

1. ნინო გურჩიანს

მიმდინარე საკითხები.

პროფ. ი. ანანიაშვილი - წარმოდგენილია ასოც. პროფ. შ. გოგიაშვილის სამეცნიერო მივლინების ანგარიშები, შეგიძლიათ გაეცნოთ.

ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი ი. ანანიაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი ხ. ბარბაქაძე